

**კვაზიერგატიული კონსტრუქციები
ქართული ენის დიალექტებში
QUASI-ERGATIVE CONSTRUCTIONS
IN DIALECTS OF
THE GEORGIAN LANGUAGE**

ციალა ბენდელიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Tsiala Bendeliani

Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

The article analyzes quasi-ergative constructions in the dialects of the Georgian language, considering both those within Georgia and those outside its borders. The analysis is based on published dialect materials as well as those obtained personally.

These constructions, spreading in the dialects of Eastern Georgia, were likely not originally typical for these dialects during their early periods; rather, they gradually spread from the western dialects. In this area, there are cases where the law of syntactic analogy is violated. This occurs when a transitive verb is not nearby in the construction with two predicates, and the subject of an intransitive verb is marked in the ergative case.

Analogues of the Megrelian construction “kochik doghuru” can be found in western dialects: the man died (მოკვდა კაცმა), he was in heaven / had eternal rest (ცხონდა), he grew old (დაბერდა). In this case, the semantics does not convey any movement. Nor is there apparent active semantics in this construction. Death, dying, or aging are not acts of volition; rather, the semantics of the verb expressing the subject is related to the movement of the soul or changes in the body. Verbs of this type can be labeled as spiritual-existential type verbs.

The paper discusses the linguistic situation in the South and South-West speech areas of Georgia, focusing on the presence of quasi-ergative and quasi-nominative constructions, as well as the polyfunctionality of the Ergative case marker (“-მან”), and the acquired functions of definiteness-indefiniteness based on the reinterpretation of the functions of ergative and nominative cases in the quasi-ergative construction in the speech of the Muhajirs.

The article discusses the stratified variability of the quasi-ergative construction, exploring how it fluctuates during migrations due to the blending of speech codes.

საკვანძო სიტყვები: ქართული/ქართველური დიალექტოლოგია, ქართული/ქართველური სინტაქსი, კვაზიერგატიული კონსტრუქციები.

Keywords: Georgian/Kartvelian dialectology, Georgian/Kartvelian syntax, quasi-ergative constructions.

შესავალი

ერგატიული კონსტრუქციები მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში, ასევე, ქართველურ ენებსა და მათ დიალექტებში საუკუნეზე მეტია, რაც ყურადღებას იქცევს. გამოთქმულია ფუნდამენტური მოსაზრებები (ნ.მარი, ჰ.შუხარდტი, არნ.ჩიქობავა, ვ.თოფურია, გ.როგავა, ს.ჟღენტი, შ.მიდიგური, მ.ციკოლია, გ.კლიმოვი...), გაანალიზებულია სინქრონიული და დიაქრონიული მასალები. ამ ნაშრომებში მოცემულ დებულებებს ახლავს ვიყენებთ. კვლავაც ზუსტდება ზმნათა სემანტიკა, ზმნა-შემასმენლისა და ქვემდებარის პოზიციები ცალკეულ შემთხვევებში, მასალობრივად და თეორიულადაც. თანამედროვე ეტაპზე იქმნება გამოკვლევები. ეს კონსტრუქციები შესწავლილია მორფოლოგიური და სინტაქსური თვალსაზრისით. დღესაც იქმნება გამოკვლევები ქართველურ ენებსა და ქართულის დიალექტებში ამ კონსტრუქციების შესახებ, ერგატიულობის არსისა და ერგატიული კონსტრუქციების შესახებ ინდოევროპულ ენებში.

საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში განხილულია ქართველური და მთის კავკასიური ენების ერგატიულობაც მსოფლიოს სხვადასხვა ენასა თუ დიალექტში არსებულ ერგატიულ კონსტრუქციებთან მიმართებით (არნ.ჩიქობავა, გ.კლიმოვი), ქართველურ ენებში ერგატიულობის შესახებ საკითხი გაანალიზებულია ენის ფილოსოფიაშიც (ა.ლოსევი). მეცნიერული პოლემიკა გაგრძელდა ქართულში ერგატიული კონსტრუქციის როგორც არარსებობის, ისე არსებობის შესახებ (გ. ნებიერიძე, ტ.ფუტყარაძე).

ადრეული პერიოდებიდანვე ქართულ დიალექტოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ დაგროვდა მასალები ქართული ენის დიალექტებიდან. ამჟამადაც იკრიბება მასალები საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართველურენოვან სამეტყველო ჯგუფებსა და კოლექტივებში, იქმნება სამეცნიერო ნაშრომები. ახალმა მასალებმა და გამოკვლევებმა მრავალი საინტერესო ფაქტი გამოავლინა.

ჩვენი აზრით, კვაზიერგატიული კონსტრუქციების საკითხი კვლავ იმსახურებს განხილვას იმიტომ, რომ დიალექტური მეტყველება ცოცხალი პროცესია, ენობრივი ქმნადობა კი უწყვეტია, მით უფრო გარეენობრივი ფაქტორების ზემოქმედებით, კონვერგენციისა და უნიფიკაციის პროცესიც განუწყვეტელია. აქედან გამომდინარე, არც თანამედროვე ქართული ენის დიალექტების მონაცემებში შეიძლება იყოს გაქვავებული პროცესი.

კვაზიერგატიულ კონსტრუქციებზე დაკვირვება ქართული ენის დიალექტების, კერძოდ, საქართველოს დასავლური და აღმოსავლური, სამხრული, აგრეთვე, საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული დიალექტების (ინგილოურისა და ფერეიდნულის) მონაცემთა მიხედვით

გვიჩვენებს ენის არა მხოლოდ სინქრონიულ მდგომარეობას, არამედ ზოგ შემთხვევაში წარმოდგენას გვიქმნის დიაქრონიული ვითარების შესახებაც.

კვაზიერგატიული კონსტრუქციების ამსახველი მასალები საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაშია შეკრებილი, რითაც შექმნილია თითქმის სრული სურათი მორფოლოგიურ და მორფოსინტაქსურ კონსტრუქციათა შესახებ. გვხვდება ისეთი ფაქტებიც, რომელთა შესახებ ადრეულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ იყო ცნობილი.

ახალი დიალექტური მასალებიდან ყურადღებას იქცევს გასული საუკუნის 80-90-იანი წლებიდან დაწყებული სამეცნიერო კვლევა-ძიების პროცესი თურქეთში ქართული დიალექტური კოდების მონაცემთა შესახებ (შ. ფუტყარაძე, ტ. ფუტყარაძე...). ახალი მასალებია გამოქვეყნებული ინგილოურისა და ფერეიდნულის შესახებ (ვ. აბაშვილი, მ. ბერიძე...).

მეთოდები

ჩვენი წინამდებარე კვლევისთვის სინქრონიული მონაცემები მოგვყავს საკვლევი არეალის, ქვემოიმერულის სამეგრელოსპირა მარგინალური ზოლის, დესკრიფციული აღწერიდან, ვიყენებთ ადრე გამოქვეყნებულსა და უკანასკნელ ხანებში შეკრებილ მასალებს ქართველურენოვანი დიალექტური ზონებიდან. საკითხის შესახებ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომებიდან ვიმოწმებთ დიაქრონიულ ფაქტებს და გაანალიზებულ მაგალითებს, ცალკეულ შემთხვევაში გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, დიალექტოლოგიურ ენობრივ ფაქტთა სტატისტიკა და სიხშირული მონაცემები.

მსჯელობა

დასავლურ დიალექტებში კვაზიერგატიული კონსტრუქციების არსებობას მეგრულის გავლენას მიაწერენ (ი. ყიფშიძე); ეს მოვლენა უფრო დამაჯერებლად ახსნილია სინტაქსური ანალოგიის კანონით (ვ. თოფურია), მაგრამ აღმოსავლურ კილოებში ზოგ შემთხვევაში არის ფაქტები, როცა დადგენილი კანონები, ანუ სინტაქსური ანალოგიის კანონი, შეიძლება არ მოქმედებდეს. ვ.თოფურიას მიერ მის პირველსავე ნაშრომში გამოთქმული თვალსაზრისი სინტაქსური ანალოგიის შესახებ (თოფურია 1923) დღესაც მთავარი დებულებაა კვაზიერგატიულობის შესახებ. ვ.თოფურიას ნააზრევის შესახებ გამოქვეყნებულია არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი (როგავა 1980: 276-282; კიზირია 1980: 161-164).

გამოცემულ ტექსტებში, საიდანაც დასკვნებია გაკეთებული, ზმნათა ჩამონათვალიდან უმეტესად ყველა ზმნა გვხვდება თანამედროვე სამეტყველო კოდებში, ე.ი. დასავლურსა და აღმოსავლურ დიალექტებში ზმნათა შინაარსი ძირითადად ერთი და იგივეა – ეს არის მოძრაობის აღმნიშვნელი, ასევე, აქტიური სემანტიკის გამომხატველი ზმნები, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ზმნები არ გამოხატავენ აქტიურ სემანტიკას. ეს ფაქტები ასახსნელია. მოვლენა ეხება სხვა ტიპის ზმნებსაც.

გრამატიკულად და გარეენობრივად ვეყრდნობით ცნობილ დებულებებს, რაც მოცემულია ქართველურ ენებში: ქართულში ერგატიული კონსტრუქცია არის მეორე სერიის მწკრივებში, გარდამავალსა და ფარული გარდამავლობის ზმნებში, მეგრულში ერგატიული კონსტრუქცია არის მეორე სერიაში გარდამავალსა და გარდაუვალ ზმნებში, ხოლო ჭანურში ის სამივე სერიაშია გარდამავალ ზმნებში.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართულსა და სვანურში არის „გახლეჩილი ერგატივი“ (თუთი 1996: 121). შესაძლოა, ისიც სხვა თავისებურებებთან ერთად ქართველურის წინარეენიდან მომდინარეობდეს.

ქართულში ზოგის სხვა ენის მსგავსად (მაგალითად, ჰინდიურდუ, მალაი და სხვ.), როგორც გამოკვლეულია, არის ე.წ. „მსხვრეული ერგატიულობა“ (ინგ. Spilt ergativity) ანუ არასრული ერგატიულობა, რადგან ერგატიული კონსტრუქცია დამახასიათებელია მხოლოდ პოლიპერსონალურ ზმნურ ფორმათა ნამყოფ დროებში. ქართველურ დიალექტებში ერგატიული კონსტრუქცია შეიძლება დადასტურდეს დატიური და ნომინატიური კონსტრუქციების ნაცვლად (იხ. ფუტკარაძე... 2022: 220).

ტერმინი „ერგატივი“ ეკუთვნის კავკასიურ ენათა მკვლევარს ა. დირს, მომდინარეობს ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის თეორიიდან. ერგონი არის წარმონაქმნი ენისა, როგორც ენერგეისა, ანუ ენაში არსებული ქმნადობის პროცესისა, და გვევლინება სტატიკაში. ერგატივი რომ წარმონაქმნია, ამას ადასტურებს ქართველურ ენათა მაგალითიც: მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი არ აღდგება საერთო ქართველური ფუძეების დონეზე. ეს მოსაზრება მრავალგზის გამოითქვა, მას აღიარებდა არნ. ჩიქობავაც.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ მეგრულსა და ქართული ენის დიალექტებში მიმდინარეობს უნიფიკაციისა და დიალექტურ სხვაობათა მოშლის პროცესი, ზმნათა გარდამავლობის ხსოვნის მერყეობა, მაგრამ ლაზურში სამივე სერიაში მოვლენის გავრცობა ახსნილია უერგატივო ბერძნულსა და თურქულთან ლაზურის ურთიერთობით (გ. როგავა).

საინტერესოა, რომ ერგატიული კონსტრუქციისა უნდა ყოფილიყო ურარტული, უფრო ადრე – ეტრუსკული. ამ უკანასკნელში უნდა არსებულიყო ერგატივის სპეციალური ბრუნვა Si/xi ნიშნით (გორდეზიანი 1979: 62), მაგრამ ძნელი სამტკიცებელია, ჰქონდა თუ არა ამ ენებთან ქართველურ ენებს კავშირი. ლექსიკური შეხვედრები დასტურდება ამ არეალში არქაულ პერიოდში გავრცელებულ არაინდოევროპულ ხათურთან საერთო ქართველურ ან ქართულ-ზანური ერთიანობის პერიოდში (გ. მელიქიშვილი) (იხ. გეორგიევი 1973: 68-73).

კვაზიერგატიულობის შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა: ინოვაციაა ის თუ არქაიზმი. ამ საკითხს ოდნავ მაინც ნათელს ჰყენს თანამედროვე დიალექტური მონაცემები, კერძოდ, მოთხრობითი ბრუნვის ფუნქციის ნაირგვარობა (მაგალითად, კირნათ-მარადიდის მეტყველებაში), სახელობითისა და მოთხრობითის მონაცვლეობის გამოყენება განსაზღვრება-განუსაზღვრელობის ფუნქციით, რაც ახლოს დგას ევროპულ ენათა არტიკლის ფუნქციასთან (მაგალითად, მუჰაჯირთა მეტყველებაში, ტ. ფუტკარაძე...), სახელობითის გამოყენება არაადამიანთა ჯგუფის სახელებთან, ხოლო მოთხრობითი ბრუნვისა – ადამიანთა და სხვა სულიერთა სახელებთან (მაგალითად, გურულში – მ. სუხიშვილი), ზმნათა ჩამონათვალი, მათი სტატისტიკა გავრცელებულობის მიხედვით და სხვ.

მამასადაძე, ერგატიულობა წარმოქმნიდან დღემდე მნიშვნელოვანი ძვრას ქართველურ ენათა მორფოლოგიასა და სინტაქსში. მის ბრუნვის

ნიშანსაც, როგორც კომპონენტს ერგატიულობისა, კერძოდ, ქართულ ენასა და მის დიალექტებში ნაირგვარი რეინტერპრეტაცია განუცდია და განიცდის. მიმდინარეობს ცოცხალი პროცესი.

სალიტერატურო ენის ზემოქმედებას, საინფორმაციო საშუალებათა მეტ გავრცელებულობას უნდა შეემცირებინა ზმნების რაოდენობაც და გამოყენების სიხშირეც, მაგრამ ასე არ ხდება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ინტერნეტმა უფრო შეუწყო ხელი ქართული დიალექტიზმების გააქტიურებას (ნ. ჯორბენაძე). კვაზიერგატიულობის შემთხვევაში, შესაძლოა, ეს ფაქტორიც არ იყოს გამოსარიცხი, რადგან ინტერნეტენა ინდივიდუალურად ორიენტირებული. ვინ კატეგორიის გამოხატულება არქაულ პერიოდში წარმართავდა ერგატიულობის პროცესს და გასაკვირი არ იქნება, ახლაც მოქმედებდეს (ჩვენც გვხვდება ამის მაგალითები, თუმცა ხშირადაც არა, მას გარკვეული სტრატეგია იყენებენ).

კონცეპტუალურად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ენის მატარებელთა ცნობიერებაში მოხდა ზმნათა სემანტიკაზე დაფუძნებული წარმონაქმნის გრამატიკალიზაცია: აქტიურ სემანტიკას შეესაბამა ენობრივი ფორმა, რამაც განსაზღვრა ბრუნვის ნიშნის ჩამოყალიბება (ჩვენი ეს მოსაზრება ემყარება დ. მელიქიშვილის მიერ ინვერსიის ახსნის მექანიზმის შესახებ ცნობილ დებულებას, იხ. მელიქიშვილი 2001). ეს პროცესი გაგრძელდა კვაზიერგატიულობის სახით დიალექტებში, შესაძლოა, არსებობდა ადრეულ დიალექტებშიც, რადგან სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ კვაზიერგატიული კონსტრუქციის რამდენიმე მაგალითი დასტურდება ძველ ქართულ ენაშიც. საფიქრებელია, რომ დიალექტური მეტყველების გავლენით.

გაზიარებულია თვალსაზრისი, რომ მეგრულში კვაზიერგატიულობის მოვლენა მეორეულია, ხოლო ქართული ენის დიალექტებში ის მესამეულ მოვლენადაა მიჩნეული (გ. როგავა).

ცნობილია, რომ მოთხრობითი ბრუნვა ანტონ კათალიკოსმა სომხური გრამატიკიდან შემოიტანა, სადაც მას სხვა შინაარსი აქვს. შენიშნულია, რომ ქართულში მოთხრობით ბრუნვას მოქმედებითი უნდა ერქვას (ა.შანიძე). ამჟამინდელი ქართული ენის მოქმედებითი ბრუნვა წინადადებაში სხვადასხვა ფუნქციითაა. უძველესი ქართულის -**ივ** ბრუნვისნიშნიან ფორმებში, რაც დღეს ზმნისართის ფუნქციას ასრულებს და გამოხატავს მოქმედებითსაც და სადაობითსაც (მაგალითად, კახურში: გაღმ-ივ, გამოღმ-ივ, კუთხ-ივ, გან-ივ-ათ, ცხადლ-ივ-ად...), და იმდროინდელ გრამატიკულ ვითარებაში არის საძიებელი ქართული ერგატიულობის წარმოქმნის საკითხი (არნ. ჩიქობავა). -**ივ** ნიშნიან ამ ბრუნვას არქაულ პერიოდშივე დაუკარგავს სინტაქსური ურთიერთობის უნარი ზმნასთან (ა. დავითიანი). -**ივ** ნიშნიანი უცნობი ბრუნვა დიდი ხანი არ არის, რაც მეცნიერებაში ცნობილია (1895 წ., 3. შუხარდტი).

დიალექტურ კვაზიერგატიულ კონსტრუქციებში უმეტესად მაინც სინტაქსური ანალოგიის კანონი მოქმედებს: ორშემასმენლიან მოდელში გარდაუვალი ზმნა ანგარიშს უწევს მეორე გარდამავალ შემასმენელს, რომლის შემდეგაც კონსტრუქცია შეკვეცილა, ამიტომ გვაქვს ერთშემასმენლიანი მოდელი (ვ. თოფურია, გ. როგავა). საყურადღებოა ისიც, რომსალიტერატუროდადიალექტურიინორმებისშერევაერთიინფორმანტის

მეტყველებაში საერთოდ დასავლურ მეტყველებაშია შენიშნული (კიზირია 1974: 75-91), თუმცა ის აღმოსავლური დიალექტებისთვისაც არ არის უცხო.

კვაზიერგატიული კონსტრუქციები ანუ გარდაუვალი ზმნის სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაში გარკვეულ პოზიციებში ვლინდება. როგორც ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს, ქართული ენის დიალექტებში მოთხრობითი დასმული ქვემდებარე გარდაუვალ ზმნებთან გვხვდება ორ პოზიციაში:

ა) გარდაუვალ ზმნას მოჰყვება გარდამავალი ზმნა, აქ ერთი და იგივე სუბიექტი უკავშირდება გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებს (მიუხედავად აგებულების მიხედვით წინადადების ტიპისა);

ბ) კონსტრუქციაში არის მხოლოდ გარდაუვალი ზმნა (ჯორბენაძე 1975: 123). არის შემთხვევები, როცა ეს კანონები ირღვევა, მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებში: მოხეურში, მთიულურ-გუდამაყრულში, ფშაურში (იხ. ბურჭულაძე 2010: 13-14; ბურჭულაძე 2012: 14).

ვ. თოფურია მიუთითებდა, რომ მეორე სერიაში კვაზიერგატიული კონსტრუქცია გარდაუვალ ზმნებთან გვხვდება ქართლურში, კახურში, ინგილოურში, ფერეიდნულში (თოფურია 1965: 178-179). გარდაუვალ ზმნასთან ერგატიული კონსტრუქციის ასეთი გავრცელებულობის გამო, ვ. თოფურია მას უნიფორმაციის გამოვლინებად მიიჩნევდა, რითაც აშკარად ვლინდება როგორც ენობრივი, ისე გარეენობრივი პროცესები.

ვ. თოფურიას მოსაზრების მიხედვით, მას ასეთი მიზეზი აქვს: „დიალექტური სხვაობები იშლება, მათ ნიველირებას ფართო გასაქანი ეძლევა, კონვერგენციის პროცესი გრძელდება და ახლა უფრო საგრძნობი ხდება, ვიდრე ამ ორიოდ ათეული წლის წინ“ (თოფურია 1965).

ვ. თოფურიას 1923 წლის გამოკვლევის მიხედვით, ზემოაღნიშნული პროცესი მეგრულსა და დასავლურ დიალექტებში გამოკვეთილი იყო. 1965 წელს ის მიუთითებდა, რომ ეს კონსტრუქცია ახასიათებდა როგორც დასავლურ, ასევე, აღმოსავლურ სამეტყველო არეალებსაც (დიალექტებსაც) და ამით პროცესი წინ იყო წასული. ჩანს, რომ კონსტრუქცია უფრო მეტი სიხშირით მოიხმარებოდა, ვიდრე ორი ათეული წლის წინ, ე.ი. მიახლოებით 40-იან წლებში; ცხადია, მოვლენა მეტად უნდა განვითარებულიყო შემდგომ პერიოდებში დღემდე.

XX საუკუნის 20-იანი წლების მასალების მიხედვით ასეთი კონსტრუქციები იყო მთიულურ-გუდამაყრულში, გომარულში (ქვემო ქართლი), მაგრამ შემდგომი პერიოდებიდან ცნობილია, რომ არის მოხეურში, ფშაურში, მესხურში, რაჭულში (კერძოდ, ლეზურსა და ჭიორულში), ქართლურში, კახურში, ქვემოიმერულში, ლეჩხუმურში, გურულში, აჭარულში, საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ: ინგილოურში, ფერეიდნულში, სამხრეთ-დასავლურ და მუჰაჯირთა სამეტყველო ქართულენოვან კოდებში, ყიზლარ-მოზდოკურში, პლასტუნკელ ქართველთა მეტყველებაში.

ნაშრომში ვიყენებთ ჩვენს მასალებში წარმოდგენილ სურათსაც. ეს მასალები განეკუთვნება ქვემოიმერულის სამეგრელოსპირა ზოლს. აქ ერთი საუკუნის განმავლობაში მოზაიკური სამეტყველო გარემოა წარმოქმნილი. წარმოდგენილია სამივე ქართველური ენის სამეტყველო ჯგუფები: ზანურის

სუბსტრატული ფენა დიალექტის ყველა დონეზე, ნარევი ქვემოიმერულ-მეგრული (შერეულ ოჯახებში), აფხაზეთიდან მიგრირებული მეგრულ-ქართული, ქართულ-მეგრული, მეგრულთან და რუსულთან ნარევი ქართული სამეტყველო კოდი, ეკომიგრანტ ლენტეხელ სვანთა სამეტყველო ჯგუფები, რომლებიც საშინაოდ იშვიათად იყენებენ სვანურს; ქართული ენის რამდენიმე დიალექტი: ქვემოიმერული, როგორც მიმღები დიალექტური კოდი, შერევის გათვალისწინებით ურბანომიგრანტების ქვემოიმერულ-ლექსუმური და ლექსუმურ-ქვემოიმერული, უკვე საგრძნობლად ნარევი ეკომიგრანტ სხალთისხეობელთა აჭარული, გასული საუკუნის დასაწყისიდან ქვემოიმერულთან ნარევი მესხური, ე.წ. „ფრანგების“, საყოფაცხოვრებო მიგრანტთა მეტყველება, რეპატიირებულ ე.წ. „თურქ მესხთა“ რუსულ-ქართული, ადრეულ რუსულ სამეტყველო ჯგუფთან ნარევი კოდები ქართული (ქვემოიმერული) პრიმატით (ფონეტიკა/ფონოლოგიისა და მორფოლოგიის დონეებზე აღნიშნული მოზაიკური სამეტყველო არეალის შესახებ იხ. ჩვენი მონოგრაფიები: ბენდელიანი 2012, 2018) (ნარევი სამეტყველო კოდებში კვაზიერგატიულ კონსტრუქციებს ქვემოთ შევხებით).

სივრცელის გამო აქ ვერ დავიმოწმებთ მაგალითებს ზემო-დასახელებული ყველა დიალექტიდან, ოღონდ გამოვყოფთ ერთ შემთხვევას იმავე მთის კილოებიდან: როგორც შენიშნულია, აღმოსავლეთ მთის კილოებში კვაზიერგატიული კონსტრუქციები გვხვდება: თ. ბურჭულაძე ასახელებს მოხეურისა და მთის სხვა კილოთა მაგალითებს: ემ **ღურბელამ** წამოვიდა და ავსაჯანიშვილის ქალი ითხოვა (მოხეურ., ქართ.დიალ. 1961: 42); ამ **უხეირომ** წავიდა თავის სახლისაკე, ხმალი ალაგზე დაუშო (მთიულ. იქვე: 75); წინავე **დედუფლებმა** მერდინი ჩამაიფარიან, იმით წავიდა; **ბებრებმ** რა შამდღერიან, ძველები იტყოდიან (ფშაური, იქვე: 135).

ბოლო ორ წინადადებაში, ჩვენ ვფიქრობთ, რომ სხვა მაგალითებისგან განსხვავებული მდგომარეობაა: ხოლმეობითის მწკრივთან ამ კონსტრუქციის არსებობა ძალზე საინტერესოა აღნიშნულ დიალექტებში ძველი ქართული ფენის გამო. მოცემულ წინადადებაში სწორედ ის ვითარებაა აღბეჭდილი, რაც ძველ ქართულში უნდა ყოფილიყო. როგორც ავტორი აღნიშნავს, აღმოსავლურ დიალექტებში, განსხვავებით დასავლური დიალექტებისგან, ზმნის გარდამავლობა მყარია და უცნაურია ასეთი კონსტრუქციები. დარღვეულია ის კანონები, რაც არსებობს ამ კონსტრუქციების საკვლევად: აქ გარდაუვალი ზმნები მართულია არა უახლოესი, არამედ მომდევნო ზმნათა მიერ (ბურჭულაძე 2010: 14).

თ. ბურჭულაძეს დასახელებული აქვს მაგალითები, როცა წინადადებაში საერთოდ არ არის გარდამავალი ზმნა, ეს შემთხვევა მეტად საინტერესოა: **შვილებმა**ც უყურებენ, როგორი ლამაზები არიან; მინამ მტერი მოვიდოდა, **ბიჭმა** ცხენზედ შეემართა საომრათა; გადაუდგნენ ამ **შვილებმა** და იჩხუბეს (ბურჭულაძე 2012: 14). ასეთი კონსტრუქციები მხოლოდ მთის კილოებში არ არის, არის სხვა კილოებშიც, ხოლო მიზეზი იმისა, რომ სინტაქსური ანალოგიის კანონი ირღვევა, შეიძლება სხვა საფუძველზე აიხსნას: გვაქვს ერთშემასმენლიანი მოდელის გამეორების შემთხვევა ისევე, როგორც შერწყმულ წინადადებაში ხდება ერთ შემასმენელთან რამდენიმე ქვემდებარის დაკავშირება. ყურადღება ექცევა არა ზმნათა სემანტიკას,

არამედ მათ ფორმას, ორივე გარდაუვალია. შესაძლოა, ესეც არ იყოს სრულყოფილი ახსნა, მაგრამ დიალექტებში ენის ყველა დონეზე ხდება სკონტანური მოვლენები.

მთის კილოებში სინტაქსური ანალოგიის გარდა, ცხადია, ჩნდება მორფოლოგიური მოვლენებიც, ანუ კონსტრუქციას განსაზღვრავს ზმნათა ხოლმეობითობა: უძველესი ზოგადი აწმყო, ხოლმეობითი მთის კილოებში რელიქტის სახითაა შემონახული, როგორც მოვლენა, თორემ გამოყენების სიხშირით, შეიძლება ითქვას, დღემდე ერთადერთი მწკრივია. კონსტრუქციაში ზმნური კონსტრუქციაა ანუ ზმნა მართავს სახელს ერგატივში, როგორც ეს ძველ ქართულშია. ასპექტი განგრძობითია, სალიტერატურო ენაში კი წერტილებრივი ნამყოფია. **ხოლმე** ნაწილაკს მთის კილოები დღემდე არ იცნობს (ცნობილია ა. შანიძის ხევისურული პოეტური ტექსტებიდან ლექსი „ხოლმე და მეთქი“, იხ. ჭინჭარაული 1961: 144).

იმერულშიც, საერთოდ, დასავლურ კილოებში, ეს ნაწილაკები გამორიცხულია. ამ არეალებში ხოლმეობითიც არ გვაქვს, ამიტომაც, რომ ზოგ შემთხვევაში კვაზიერგატიული კონსტრუქციები, შესაძლოა, სპეციფიკური დანიშნულებისაა ზღაპრული ამბების გადმოცემისას (ყოველ შემთხვევაში ჩვენეული აღქმა და აზრიც ასეთია): როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ: ადგა ამ **ბიჭმა** და მივიდა მეფესთან (იქვე: ადგა ეს **ბიჭი** და მივიდა ხემწიფესთან), ამ უხოლმეო კონსტრუქციაში განგრძობითობას მოთხრობითი ასრულებს. სალიტერატურო ქართულში **ხოლმე** ნაწილაკი ძალზე გვიან ჩნდება, ეს ნაწილაკი სავარაუდოა „ვეფხისტყაოსანშიც“ (ხომე).

თანამედროვე ქართული ენის მთის დიალექტებში ზოგან შემონახულია ოდინდელი ენობრივი ვითარება. ქართული ენის განაყარ დიალექტში, მაგალითად, ფერეიდნულში, კვაზიერგატიული კონსტრუქციის არსებობა ამ ვარაუდს ამყარებს. ფერეიდნულში ის სტაბილური დიალექტური მარკერია, რომელიც ვერ მოშალა უცხოენოვანმა გარემომ. ამის ანალოგად შეიძლება დავასახელოთ ფერეიდნულში -ყე სუფიქსის შენახვა ყველა იმ შემთხვევაში, როცა იმავე ფუნქციას სპარსული -ბეთ ასრულებს.

იმერულში, დღემდე გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, კვაზიერგატიული კონსტრუქციები გვხვდება ქვემოიმერულსა და შუაიმერულში, არ არის ზემოიმერულში. ზემოიმერული ქართულის ძლიერ გავლენას განიცდის და მოვლენის არარსებობა საკვირველია, მაშინ როცა მის ირგვლივ სამეტყველო კოდებში ეს მოვლენა არის.

კვაზიერგატიული კონსტრუქციები მასობრივია ქვემოიმერულში: **ბიჭმა მევიდა; ქალმა გამევიდა** სტუმრეფს; **გამეეშვიდობა** ამ **კაცმა**; სამივე **ძმანებმა გამევიდა** სისხლის ნაკვალევზე (მიძიგური, 1954, 330); **კაცმა დაჟდა; ავანტყოფმა ადგა; მათხოვარმა გარმოვარდა** (იქვე, 153). მასალა განეკუთვნება გასული საუკუნის 30-იან წლებს. ამავე პერიოდისაა ქვემოიმერულის სამეგრელოსპირა მარგინალურ ზოლში ზემოაღნიშნული მაგალითები: **მივიდა** ამ **ბიჭმა** მეფესთან/ **მივიდა** ე **ბიჭი** ხემწიფესთან. ორივე შემთხვევა დასტურდება ერთი და იმავე პირის მეტყველებაში, ერთმანეთის მიყოლებით. ამას შეიძლება ვუწოდოთ სამეტყველო კოდების გადართვაც. მხატვრულ ტექსტებში, ამ შემთხვევაში ზღაპარში, კვაზიერგატიულ კონსტრუქციას მუდმივი დროის გამოხატვის ფუნქციაც აქვს.

60-იან წლების მასალებიდან: მარა სოლომანის **შვილმა არ დადგა** (ქართ. დიალ. 1961: 473); **არწივმა მიხვთა** ყოლიფერს, მეთაზრა და ფთა დოუჭთილა ამ კაცს (მიძიგური 1974: 331) (**მიხვთა** ზმნა მ.სუხიშვილის გამოყოფილი აქვს ორვალენტიან მენტალურ ზმნად, იხ. სუხიშვილი 2000: 96-98).

გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩაწერილ მასალაში (კუბლაშვილი 1985) გვხვდება აქტიური სემანტიკის ის ზმნები, რომლებიც არის ვ.თოფურიას, გ.როგავას გამოკვლევებში: **დეემშვიდობა, ადგა, წევიდა, ჩაჯდა, გეემგზავრა, გამეეკიდა...** პოზიციები დადგენილი კანონზომიერების მიხედვითაა ანუ გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებს ერთი ქვემდებარე აქვთ, რომელთაგან მეორე ზმნა გარდამავალია, ქვემდებარე მოქცეულია ამ ორ ზმნას შორის, ან კონსტრუქციაში გვაქვს მხოლოდ აქტიური სემანტიკის გამომხატველი გარდაუვალი ზმნები: **დეემშვიდობა მოყვრებმა** ერთმანეთს; **ჩაჯდა ზოგშმა** ნაცარში; **გეემგზავრა** ჩემა **მეზოზელმა** ქალაქში; **ნესტორამ გამეეკიდა** ქურდებს დასაჭერად (კუბლაშვილი 1985:190), მაგრამ არის ასეთი, ზემოაღნიშნული აღმოსავლურის მსგავსი კონსტრუქციაც: **ადგა ამ კაცმა** და **წევიდა** თავის გზაზე.

ჩვენი მასალებიდან (XX საუკუნის ბოლო წლებიდან თითქმის დღემდე) დავასახელებთ სხვა მაგალითებსაც (მოცემულია უკვე სხვა ზმნებიც): **მიესალმა** იმ **კაცმა** და **გადგა** განზე; **გამეემშვიდობა ბაღანამ**, მეტი რა ექნა?! აქტიურ სემანტიკას გამოხატავს: მიეფათურა ძაღმა, მარა გაიგონია?! **წევიდა დათჳმა** და უკან სისხლიანი კჳალი დატუა; **გადევიდა დედამ** მერე და ისესხა პეტერე ფული; **ხალხმა** ძაან წინამდექი **წევიდა**; წაი დედამ ბაღნეფთან, მიუფუსფუსდი. ზოგ ამ წინადადებაში არც ერთი ზმნა არ არის გარდამავალი, მაგრამ თვით ზმნების სემანტიკაა მოძრაობასთან დაკავშირებული. ასევე: **მოკვტა** მერე იმ **კაცმა**, ნაშიერი არ დოუტუებია. ამ შემთხვევაში გარდაუვალი ზმნა იწყებს წინადადებას, გარდამავალი კი მასთან ახლოს არ არის, მაგრამ ასეთი შემთხვევები სხვა კილოებშიცაა.

ასევე, მოცემულია მეტყველების აღმნიშვნელ ზმნებთან კვაზიერგატიული კონსტრუქციები, რომლებშიც გარდაუვალი ზმნის აქტიური სემანტიკა საძიებელია: **გეეხუმრა მეზოზელმა**, მეტი იქ არაფერი არ ყოფილა. **ეხუმრება** ზმნა აქტიურ სემანტიკას არ გამოხატავს, თუ მას მეტყველების ტიპის ზმნებს არ მივაკუთვნებთ (ასეთივეა **ემასხრება**).

მაშასადამე, აქტიური სემანტიკის გამომხატველი ზმნების გარდა, კვაზიერგატიულ კონსტრუქციას ქმნიან სხვა ტიპის ზმნებიც: **მიესალმა, გამეემშვიდობა, მიუფუსფუსდა, გეეხუმრა, ემასხრება**. ზოგი ზმნის აქტიური სემანტიკა შეიძლება აიხსნას პარალინგვისტური ნიშნების საფუძველზე: როგორც ჩანს, დიალექტის მატარებელი მისალმებას აკავშირებს, უმრავლეს შემთხვევაში როგორც ხდება ხოლმე, თავის დაქნევასთან ან ხელის აწევასთან. ასეთივეა, **გამოემშვიდობა, მიეფათურა**. ამ მაგალითებიდან კარგად ჩანს, ძირითადად რომელ სტრატს მიეკუთვნებიან რესპონდენტები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი საერთოდ გამორიცხული იყოს სხვა სტრატების მეტყველებაში.

ამ მონაცემებს ყურადღებას ვაქცევთ, რადგან საინტერესოა, ამაჟამად ვისთვისაა უზუალური ეს ფორმები, ვის ენობრივ მეხსიერებაშია ზმნათა გარდამავლობა-გარდაუვალობა მყარი, შესაძლოა, ფორმალურ

სიტუაციაშიც, მაგრამ ასეთი შემთხვევები მაინც ძალზე იშვიათია და არ ახასიათებს მხოლოდ საკვლევი რეგიონის მეტყველებას. ხშირია: **მოუყვა მან** მას ის (და არა მოუყვა ის მას მას), **ელაპარაკა მან** მას ის (ელაპარაკა ის მას მას), **ეხუმრა მან** მას. იგი შეიძლება შეგვხვდეს სალიტერატურო სამეტყველო კოდში, ურბანულსა და ნაკლებად ურბანულ პუნქტებში, ნებისმიერი სტრატის მეტყველებაში, შეიძლება ფორმალურ სიტუაციაშიც.

ბ. ჯორბენაძე წერდა: „აქტიური სემანტიკის გამომხატველ გარდაუვალ ზმნათა II სერიის ფორმებთან სუბიექტი წარმოდგენილია მოთხრობით ბრუნვაში: ბიჭმა მევიდა, ქალმა გამეეკიდა სტუმრეფს, გამეეშვიდობა ამ კაცმა (უფრო ხშირად ეს მოვლენა ქვემოიმერულში იჩენს თავს)“ (ჯორბენაძე 1989: 489). ავტორი ეყრდნობა შ. ძიძიგურისა და კ. კუბლაშვილის სინქრონიულ მონაცემებს.

ინფორმანტთა სამეტყველო კოდი როცა შეურეველი ქვემოიმერულია, ასეთი კონსტრუქციები მეტი სიხშირით ვლინდება, მათ თითქმის არ ენაცვლება ნომინატიური კონსტრუქცია.

ასეთი ტიპის ზმნები, ასევე, დიალექტში გავრცელებული კვაზიერგატიული კონსტრუქციები, საკმაოდ სერიოზულ პრობლემას ქმნის სასკოლო სწავლების პროცესში (ბენდელიანი 2018-2019). ეს კი ნიშნავს, რომ ის სამეტყველო კოდის არსებითი დიალექტური მარკერია, ასევე, იშვიათი არ არის იმ პირთა მეტყველებაში, ვინც ძირითადად იყენებს სალიტერატურო ენის კოდს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ საკვლევ სამეტყველო ზოლში მოვლენის ასეთ გავრცელებულობასა და სიხშირეს მაინც მეგრული მეტყველების ფონი განსაზღვრავს. მეტყველება ქმნადობასთანაა დაკავშირებული, ენა მოძრაობს, მაგრამ ისეთი ტიპის ზმნებთან, როგორიცაა **მოკვდა**, **ცხონდა**, **დაბერდა**, აქტიური სემანტიკა არ არის განმსაზღვრელი, ეს არის დიალექტური ენობრივი ხედვა: ადამიანის, ვინ კატეგორიის, განმცდელის წინ წამოწევა: **მორჩა ქალმა** (იმშობიარა); **დეიხოცა** მერე **მაგენმა**; **მოკვდა კაცმა**. მეგრულში **დოღურუ კოჩიქ** ასეთი მსოფლადქმის ნიმუშია: ერთპირიან ზმნებს **მოკვდა**, **დეიხოცა**, **მორჩა**, **დაბერდა** აქტიური სემანტიკა ფორმოზრევად არ აქვთ.

იმერული: **მოკვდა კაცმა**; **დეიხოცა ხალხმა**, ასევე: მაგენის გარდა ტასიე იყო კიდო მალაზონი და მერე **დეიხოცა საწყლებმა იგენმა**; **ცხონდა**, შვილო, შენი გამზდელმა. ამ ზმნათა სემანტიკა მოძრაობას არ გამოხატავს, არც აქტიური სემანტიკა ამ კონსტრუქციებში ზედაპირულად არ არის. სიკვდილი ან ცხონება არ არის ნებელობითი აქტი, მათში სუბიექტის გამომხატველი ზმნის სემანტიკა სულიერებას უკავშირდება. **მოკვდა**, **ცხონდა**, **დაბერდა** (ამ უკანასკნელსაც სიღრმისეული მოძრაობა, ცვლილება განსაზღვრავს) ზმნებს შეიძლება ეწოდოს **სულიერ-ეგზისტენციალური** ტიპის ზმნები.

ამ ზმნებში სუბიექტის ბრუნვა ხაზს უსვამს ვინ კატეგორიას, ადამიანს, სიკვდილის შემდეგ ვინ კატეგორია იცვლება რა კატეგორიით, გარდაცვლილის სხეული რა ჯგუფისაა. **ცხონდა** ზმნაც დაახლოებით ამ ტიპის ზმნებშია განსახილველი. **დაბერდა** ზმნის სემანტიკაც სხეულის ცვლილებებს გამოხატავს. ასეთი ზმნები გვხვდება ყველა დიალექტში, მუჰაჯირების მეტყველებაში, სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში.

ბ. ჯორბენაძე გურულის შესახებ აღნიშნავდა, რომ „...ანალოგია შორს მიდის: კაცმა დიეცა, მოკვდა (მაგრამ არ შეგვხვდება: კაცმა გეილახა) (ჯორბენაძე 1989: 536). ზოგ დიალექტში ის უფრო ადრეული შეიძლება იყოს სხვა ქართულ დიალექტებთან შედარებით, მაგრამ ფაქტია, რომ მისი არქეტიპი მოცემულია მეგრულში: **კოჩიქ დოდურუ**.

კვაზიერგატიული კონსტრუქცია გვხვდება **თერჯოლურში: მევიდა კატამ** და დეიძახა; **მელიამ წევიდა** და დოუწყო ძარას ძეხილი (ძიძიგური 1974: 317, 319); ქვემოიმერულის თქმებში: სამტრედიულში, ვანურში, წყალტუბოურში, აბაშურში; საჩინოურსა და გადიდურ თქმებში (ვანის რაიონის მთიანი სოფლები) დაცულია ფაქტობრივად შეურეველი ქვემოიმერული და ძალზე საინტერესოა (შარაშენიძე 2008). მონაცემები განეკუთვნება გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ჩვენი საუკუნის დასაწყისამდე პერიოდს: **მაგენმა** (ქათმებმა) **აყვირდა წახანე**, თურმე ძალღი ყოფილა (გვ.286); გაგიმარჯოს, ნინა, **შეგეწიოს ღმერთმა** (გვ. 726); **ქალმა მოკვტა საწყალმა**, ვერ გოუძლო (გვ. 273); მაგიზა არ **წევიდა** ჩემი **ქმარმა** (გვ. 276); **ჩემმა ტოლმა წევიდა** (გვ.1 87).

ქუთაისურ მეტყველებაში კვაზიერგატიული კონსტრუქციები შეინიშნება სტრატეგისა და სამეტყველო სიტუაციების მიხედვით. იგი ქალაქურ მეტყველებაში ირგვლივ მდებარე დიალექტური სამეტყველო ზონებიდან მიგრირებულთა შენატანია და სოციოლექტის ფუნქციითაც გვევლინება. მასზე, სტრატეგის მიხედვით, ძლიერ ზემოქმედებას ახდენდა და ახდენს სალიტერატურო ენა, ინფორმაციის მასობრივ საშუალებათა მეტი ინტენსიურობით გამოყენება, თეატრი, კინო.

გამოკვლეულია, რომ ქვემოიმერულთან ტერიტორიულად არცთუ შორ მანძილზე გავრცელებულ ლეჩხუმურ სამეტყველო კოდში უფრო გავრცელებულია ერგატიული კონსტრუქციის მონაცვლე ნომინატიური კონსტრუქცია, შეფარდება გვიჩვენებს 1:100 (კაკიტაძე 1987: 123).

ასეთივე ვითარებაა ქვემოიმერელ ლეჩხუმელთა მეტყველებაშიც, განსაკუთრებით **ლეჩხუმურ-ქვემოიმერულ ნარევ კოდში**.

კვაზიერგატიული კონსტრუქცია არის ქვემოიმერელ აჭარელთა მეტყველებაშიც: **შეხვთა** მერე იმ **მყიდველმა**; **გახდა** იმ **ბავშმა** გამგონე... საკვლევ არეალში ცხოვრობენ ზემოაჭარული თქმების წარმომადგენლები, მათ თავიანთი ისტორიული საცხოვრისიდანაც აქვთ შემოტანილი ბევრი რამ, კერძოდ, ქვემოაჭარულთან, ბათუმურთან, ქობულეთურ მეტყველებასთან ნარევი კოდები. შერევა აღინიშნება ქვემოიმერულთანაც. მეტ-ნაკლებად დასტურდება სტრატა მიხედვით.

საერთოდ, განხილულ ლეჩხუმურ ან ქვემოიმერელ ლეჩხუმელთა სამეტყველო კოდებს აჭარულთან შეხება არ აქვთ. ასევე, ლეჩხუმურის მეზობელ რაჭულ სამეტყველო კოდში კვაზიერგატიული კონსტრუქცია სპორადულად გვხვდება. იგი გავრცელებული არ არის არც ზემოიმერულში. ურთიერთშერევის ფაქტები იპოვება ლეჩხუმურშიც, ქვემოიმერულშიც, ქვემორაჭულშიც. აჭარულში, ამ დიალექტებთან შედარებით, პროცესი უფრო შორსაა წასული, რაც ლაზურის გავლენითაა ახსნილი.

საკვლევი არეალის ქვემოიმერულში კვაზიერგატიული კონსტრუქცია გარდაუვალ ზმნასთან უფროსი ასაკის დიალექტზე მეტყველ

ინფორმანტებთან, სიხშირის მიხედვით, ასეთ შეფარდებას იძლევა: 70:100, საშუალო და უმცროსი ასაკის ინფორმანტებთან – 60:100 (განათლების, სკოლამდელი/სასკოლო ასაკის მიხედვით).

კვაზიერგატიული კონსტრუქცია **ქვემოიმერელ ლენტეხელთა** ქართულ მეტყველებაში იშვიათია, მხოლოდ იმ შემთხვევაშია, როცა სვანური დავიწყებულია და ქვემოიმერული არის ძირითადი სამეტყველო კოდი. სვანურში კვაზიერგატიული კონსტრუქცია არ არის, რადგან სვანეთში არ არის ქართული ტერიტორიული დიალექტები, მათი ქართულენოვანი კოდები უფრო მეტად ეყრდნობა სასკოლო განათლების ენას, შერევა აღინიშნება ლენტეხური ქართულისა ლეჩხუმურთან, ან სოციალური კავშირების მიხედვით მოცემულია ინდივიდთა სამეტყველო რეპერტუარებში. ლენტეხელებს მჭიდრო კავშირი აქვთ ლეჩხუმურ სამეტყველო კოდთან, აქედან უფრო მეტად იქნებოდა მოსალოდნელი, რომ ლეჩხუმურში მოვლენა მასობრივი იყოს, თანაც სვანურს აქვს ერგატივ-ინსტრუმენტალისი ბრუნვა.

კვაზიერგატიული კონსტრუქცია გარდაუვალ ზმნასთან გვხვდება უფროსი და საშუალო ასაკის **ქვემოიმერელ მესხთა** მეტყველებაშიც: **გრიშამ წამოვიდა** იქიდან; ჩემ **დამ** შიშით **მოკვდა**. უმეტესად არის ნომინატიური კონსტრუქციები (ფეიქრიშვილი 2007: 33). არის თვით **მესხურში**.

ქვემოიმერელ მესხთა მეტყველებაში კვაზიერგატიული კონსტრუქციების დადგენა ჭირს, რადგან მათ ისტორიული საცხოვრისიდანაც შეიძლება ჰქონდეთ შემოტანილი და შერევის შედეგად ქვემოიმერულიდანაც.

დასკვნები

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ:

ა) ქართული დიალექტური ადრეული და გასული საუკუნის ბოლო წლების მასალების მიხედვით დადასტურებული კვაზიერგატიული კონსტრუქციები დღესაც გვხვდება, თითქმის იგივეა ზმნათა ჩამონათვალიც. თუ არ მივიღებთ მხედველობაში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მარგინალური სამეტყველო ზონების მეტყველებას, სადაც, შესაძლოა, სამეტყველო კოდების შერევის, სალიტერატურო კოდის ზემოქმედების გამო ადრინდელი სურათი არ იყოს;

ბ) სინტაქსური ანალოგიის კანონის დარღვევის აღნიშნული ფაქტები ძველი მოვლენა ჩანს. ჩვენი აზრით, უნდა გვქონდეს სინტაქსური მოდელის გამეორება. ამ მოვლენის მიხედვით საკითხის შესწავლა საჭიროა ამავე სამეტყველო არეალებში ახალი მასალების მიხედვით;

გ) ზოგ შემთხვევაში ეს კონსტრუქცია დაკავშირებულია განგრძობითი მოქმედების გადმოცემასთან;

დ) ჩვენი საკვლევი სამეტყველო მოზაიკური არეალის მიხედვით, კვაზიერგატიული კონსტრუქციები და ზმნათა ჩამონათვალი ყველა იმ სამეტყველო კოდშია, რომელთაც ის ისტორიულ საცხოვრისში ჰქონდათ მიგრაციამდე. ეს კი მიგვანიშნებს, რომ კვაზიერგატიული კონსტრუქცია ამ სამეტყველო კოდთა მყარი დიალექტური (სოციოლინგვისტიკური) მარკერია;

ე) ჩვენ გამოვყავით ზმნათა ტიპი: **მოკვდა, ცხონდა, დაბერდა**, რომელ-თაც აქტიური სემანტიკა არ აქვთ, აქ მოძრაობა სულიერ-ეგზისტენციალურ ჭრილში ჩანს. ამიტომ მათ ვუწოდეთ სულიერ-ეგზისტენციალური ტიპის ზმნები. ამ ტიპის ზმნები სხვაც შეიძლება დაიდებნოს, თანაც დასავლურ ქართველურ სამეტყველო კოდეზში (მეგრულსა და ლაზურში);

ვ) მეტყველების ტიპის ზმნებს განეკუთვნება **გეეხუმრა, გეემასხრა** და მისთ;

ზ) კვაზიერგატიული კონსტრუქციის გამოვლენის პროცენტი ჩვენს საკვლევ მოზაიკურ არეალში მიგვითითებს, რომ მას არ შეეხებია ახალი ექსტრალინგვური პროცესები.

გამოყენებული ლიტერატურა

აბაშვილი 2009: აბაშვილი ვ., ქართული ენის ინგილოური დიალექტი. თბილისი, 2009.

ბენდელიანი 2012: ბენდელიანი ც., მოზაიკური სამეტყველო არეალი. ფონეტიკა/ფონოლოგია. თბილისი, 2012.

ბენდელიანი 2018: ბენდელიანი ც., მოზაიკური სამეტყველო არეალი. მორფოლოგია. თბილისი, 2018.

ბენდელიანი 2018-2019: ბენდელიანი ც., საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა: მართლწერისა და მართლმეტყველების პრობლემა სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე, 2018-2019.

ბურჭულაძე 2010: ბურჭულაძე თ., იშვიათი სინტაქსური კონსტრუქციის შესახებ მთის კილოებში. XXX რესპუბლიკური დიალექტოლოგიის სამეცნიერო სესიის მასალები. თბილისი, 2010.

ბურჭულაძე 2012: ბურჭულაძე თ., ერგატივის ზოგი საკითხი აღმოსავლურ დიალექტებში. არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XXIII. თბილისი, 2012.

გეორგიევი 1973: გეორგიევი ვ.გ., ხეთები და ხათები. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVIII. თბილისი, 1973 (რუს.ენ.)

გორდეზიანი 1979: გორდეზიანი რ., ერგატივი ეტრუსკულში. კრებ. „არნოლდ ჩიქობავას“. თბილისი, 1979.

თოფურია 1923: თოფურია ვ., სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართული დიალექტების მიხედვით. ჟურნალი „ჩვენი მეცნიერება“, №1. ტფილისი, 1923.

თოფურია 1965: თოფურია ვ., ქართველურ ენათა დიალექტების მონაცემებთა მნიშვნელობა ენის ისტორიისა და ზოგადი ენათმეცნიერებისათვის. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, 1965.

თუთი 1996: თუთი ქ., გამიჯნულ მიმართებათა მარკირების სისტემები ქართველურში. სამეცნიერო კონფერენცია „ქუთაისური საუბრები“, III, ქუთაისი, 1996.

კაკიტაძე 1987: კაკიტაძე კ., ქართული ენის ლექსუმური დიალექტი (რაჭულთან და იმერულთან მიმართებით). საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი, 1987.

კიზირია 1974: კიზირია ა., ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთობა ქართული ენის დასავლური დიალექტების მიხედვით. „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, IV. თბილისი, 1974.

კიზირია 1980: კიზირია ა., ქართული ენის სინტაქსის საკითხები ვარლამ თოფურიას შრომებში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXII. თბილისი, 1980.

ლანდია 2006: ლანდია რ., რაჭული ტექსტები, ჩაიწერა რ. ლანდიამ 1984 წელს. საენათმეცნიერო ძიებანი, XXIV. თბილისი, 2006.

მელიქიშვილი 2001: მელიქიშვილი დ., ქართული ზმნის სისტემა. თბილისი, 2001.

მიქიაშვილი 1986: მიქიაშვილი ო., ქართული ენის დიალექტების ურთიერთშერევისა და ინტერფერენციის საკითხები. თბილისი, 1986.

როგავა 1980: როგავა გ., ვარლამ თოფურიას სინტაქსური ანალოგიის კანონი. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXII. თბილისი, 1980.

სანიკიძე 2008: სანიკიძე ლ., სუბიექტი ერგატიულ ბრუნვაში წოვა-თუმური (ბაცბური) ენის ერთი რიგის გარდაუვალ ზმნებთან. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 67-ე სესია, ეძღვნება სულხან-საბა ორბელიანის 350-ე წლისთავს. თბილისი, 2008.

სურმავა 2003: სურმავა ნ., მან ნაცვალსახელის თავისებურება აჭარულში. კრებ. „ბესარიონ ჯორბენაძეს“. თბილისი, 2003.

სუხიშვილი 2000: სუხიშვილი მ., მოთხრობით სუბიექტიანი კონსტრუქციები გურულში. XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები. თბილისი, 2000.

ფეიქრიშვილი 2007: ფეიქრიშვილი ჟ., მესხურ და იმერულ დიალექტთა შერევა ახალშენის მეტყველებაში. თბილისი, 2007.

ფუტყარაძე 1993: ფუტყარაძე შ., ჩვენებურების ქართული. ბათუმი, 1993.

ფუტყარაძე... 2022: ფუტყარაძე ტ., ტაბიძე მ., ლაბაძე მ., კეკუა ს., გეჯუა კ., ჩელები ფ., სალია-ბეშიროდლო მ., ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის კანონზომიერებები ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავალთა მეტყველების მიხედვით. თბილისი, 2022.

ქართ. დიალ. 1961: გიგინეიშვილი ივ., თოფურია ვ., ქავთარაძე ივ., ქართული დიალექტოლოგია, I. თბილისი, 1961.

ძიძიგური 1954: ძიძიგური შ., ძიებანი ქართული დიალექტოლოგიის ისტორიიდან. თბილისი, 1954.

ძიძიგური 1974: ძიძიგური შ., ქართული დიალექტოლოგიური მასალები. თბილისი, 1974.

ჭინჭარაული 1961: ჭინჭარაული ალ., ხევსურულის თავისებურებანი. თბილისი, 1961.

ჯორბენაძე 1975: ჯორბენაძე ბ., ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში. თბილისი, 1975.

ჯორბენაძე 1989: ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია. თბილისი, 1989.